

**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის #105/14¹
გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა**

ნანა ხეჩიკაშვილი (სტუდენტი)

ფაქტები

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ზ. ს.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. ნ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ მ. ნ.-ს მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა არ განახორციელა ხელშეკრულებით გათვალისწინებული იურიდიული მომსახურება სამოქალაქო საქმეზე, არ გამართა სატელევიზიო ბრიფინგი, ადვოკატი არ უბრუნებს უსაფუძვლოდ მიღებულ ჰონორარს, კერძოდ 900 (ცხრაას) ლარს. საჩივრის ავტორის განცხადებით, ის როგორც შვილმოკლული დედა და დაზარალებული, დახმარების მიღების მიზნით მივიდა ი. ვ.-ს დაარსებულ არასამთავრობო ორგანიზაციაში „---“, ზ. ვ.-ს სახელობის დარბაზ „---“-ში. აღნიშნული ორგანიზაციის თანამშრომელმა კ. კ.-მ მას გააცნო ადვოკატი მ. ნ., რომელსაც ზეპირად შეუთანხმდა იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე და ჰონორარის სახით საჩივრის ავტორმა ადვოკატ მ. ნ.-ს გადასცა 900 (ცხრაასი) ლარი. თანხის მიღების ფაქტს ადასტურებს მხარეთა მიერ დადებული ხელწერილი. 2014 წლის 03 ივნისს საჩივრის ავტორმა და ადვოკატმა მ. ნ.-მ გააფორმეს წერილობითი ხელშეკრულება N12 იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა იურიდიული მომსახურებას გაწევა ტელევიზიასა და სასამართლოში. საჩივრის ავტორის განცხადებით, ამ ყველაფრის შემდეგ მან გაიკითხა ინფორმაცია ადვოკატ მ. ნ.-ს შესახებ და გაიგო, რომ ის იყო თალთითი. ამის გამო, 2014 წლის 29 მაისს მეორე დღესვე ის დაუკავშირდა ადვოკატს და მოსთხოვა აღებული თანხის უკან დაბრუნება. ადვოკატი მ. ნ. 2014 წლის 11 ოქტომბრის გასაუბრების ოქმში #2291408 განმარტავს, რომ თავდაპირველად ზ. ს.-ს სურდა სამოქალაქო საქმეზე საადვოკატო მომსახურება, თუმცა შემდეგ მან შეცვალა თავისი მოთხოვნა და სურდა ადვოკატ მ. ნ.-ს გაეკეთებინა შეურაცხყოფელი განცხადებები ე. ბ.-ს მისამართით, თითქოს იგი შეჰპირდა დახმარებას და არ დაეხმარა, ასევე სურდა დ. უ.-სათვის მოეთხოვა კომპენსაციის სახით ერთი მილიონი აშშ დოლარის გადახდა. მ. ნ.-ს განცხადებით, იგი მზადაა გაუწიოს დახმარება ზ. ს.-ს კანონის ფარგლებში და იმ საქმის მიხედვით, რაც აღებული ჰქონდა თავიდან და არა ოფიციალური პირების შეურაცხყოფაში და არარეალური თანხის მოთხოვნაში ადვოკატს ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია წერილობითი ახსნა-განმარტება. ის გამოცხადდა 2014 წლის 25 დეკემბერს გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე და განმარტა, რომ მან საჩივრის ავტორი გაიცნო ი. ვ.-ს ოფისში. ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორს პირადად მისთვის თანხის დაბრუნება არ მოუთხოვია.

სამართლებრივი შეფასება

აპეკ-ის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს მასთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. მხარეთა ახსნა-განმარტებებით დგინდება, რომ 2014 წლის 28 მაისს საჩივრის ავტორი და ადვოკატი მ. ნ. ზეპირად შეთანხმდნენ იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე და ჰონორარის სახით საჩივრის ავტორმა ადვოკატ მ. ნ.-ს გადასცა 900 (ცხრაასი) ლარი, შესაბამისად მათ შორის ამ მომენტიდან წარმოიშვა ადვოკატ-კლიენტის

¹ <https://gba.ge/pdf/5c5064a375211.pdf/5c5064a375211.pdf>

ურთიერთობა. ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე იმოქმედოს კლიენტის ინტერესების შესაბამისად და უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედებების კეთილსინდისიერად შესრულება. 2014 წლის 25 დეკემბერს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა მ. ნ.-მ განმარტა, რომ მან ვერ განახორციელა იურიდიული მომსახურება, მაგრამ აღნიშნული ვერ შეფასდება არაკეთილსინდისიერებად და ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევად, ვინაიდან ადვოკატის უმოქმედობა გამოწვეული იყო კლიენტის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტით. კერძოდ, საჩივრის ავტორმა ადვოკატს ხელშეკრულების გაფორმებიდან დაახლოებით სამ დღეში დაუხია ხელშეკრულება. საჩივრის ავტორის მიერ ხელშეკრულების დახვევა ადვოკატს აძლევდა საფუძველს ევარაუდა, რომ საჩივრის ავტორს აღარ სურდა მასთან ურთიერთობა და უწყვეტდა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებას. საპროცესო კოლეგია იზიარებს ადვოკატის მოცემულ განმარტებას. რაც შეეხება შეურაცხმყოფელი განცხადებების გაკეთებას, საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატის მიერ შეურაცხმყოფელი განცხადებების გაკეთება ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებს. ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. ადვოკატის ახსნა-განმარტების გარდა საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომელიც დაადასტურება მოითხოვდა თუ არა საჩივრის ავტორი შეურაცხმყოფელი განცხადებების გაკეთებას და თუ მოითხოვდა რა შინაარსის უნდა ყოფილიყო აღნიშნული განცხადებები. შესაბამისად ეთიკის კომისია ვერ იმსჯელებს ჯდება თუ არა აღნიშნული განცხადებები დასაშვები კრიტიკის ფარგლებში. ადვოკატის მიერ მიღებული საადვოკატო საზღაურის დაბრუნებასთან დაკავშირებით, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ეს მის კომპენტეციაში არ შედის და . მხარეს შეუძლია, აღნიშნული მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს და სამოქალაქო დავა აწარმოოს ადვოკატის წინააღმდეგ.

დასკვნა

ეთიკის კომისიამ არ აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატ მ. ნ.-ს მიმართ, რადგან არ არსებობდა საკმარისი ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე.